

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #48

ქ. თბილისი

2024 წელი, 26 აპრილი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ანა კილაძე, მარიამ ზაქარიაშვილი, გივი ჩხარტიშვილი, ნინო წულაძე, მამუკა გუგუშვილი,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ზაზა თავაძე, შოთა გრიგოლია (03-0324116177 თარიღი: 25/04/2024), საბა ბუაძე, ლილე ლიპარტელიანი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

არჩილ გორდულაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ქვარა ჩართოლანი - ა.ა.ი.პ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე

ნინო ჯაფარიძე - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ოთარ ჩიტინე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	საკითხის დასახელება
1.	ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/ვ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშეწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №03-032411570 - 24.04.2024)

2.	მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032411686-03-25.04.2024)
3.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032411571-03- 24.04.2024)
4.	„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს № 12-032411614-03-25.04.2024)
5.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ; N01.18.01.004.326, ფართობი -5 335 კვ.მ; N01.18.01.004.322, ფართობი -3 435 კვ.მ; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032411023-03- 19.04.2024)
6.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059, ფართობი - 2 572 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032411576-03- 24.04.2024)
7.	„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, იალბუჯის ქუჩა N4; N6; N6ა; N8; N8ა; N10-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.13.043.032, ფართობი - 1 899 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032411610-03- 25.04.2024)
8.	კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირი N24ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.19.34.002.054, ფართობი - 1 617 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს № 12-03241166-03-25.04.2024)

9.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032410248-03 11.04.2024; №12-032410250-03 11.04.2024; 12-032410947-03- 18.04.2024; 12-032410952-03- 18.04.2024; 12-032411615-03- 25.04.2024 ; 12-032404642-03 - 15.02.2024 გადადებული „ე“ პოზიცია; 16-0324082139-03 - 22.03.2024 გადადებული „მ“ პოზიცია; 12-032407443-03 - 14.03.2024 გადადებული „ა“ პოზიცია)
10.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03241164-03- 25.04.2024)
11.	„ქ. თბილისში, კრწანისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.13.049.005) მრავალფუნქციური კომპლექსის (დევნილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა გრძელვადიანი განსახლების) დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის №2466 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №12-032409569-03 04.04.2024)
12.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ თედიაშვილის ქუჩა №15-ში; ქალაქი თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.12.542; №81.02.18.831; №81.02.99.882; №81.02.01.381-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03240968-03 05.04.2024)
13.	ქალაქ თბილისში, გულიას ქუჩა №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.18.09.005.176; №01.18.09.005.116) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032410272-03 11.04.2024)
14.	ქალაქ თბილისში, რწმენის ქუჩა, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.37.016.003) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032409573-03 04.04.2024)
15.	ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, №8, №6, №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.23.475; №72.16.23.474; №72.16.15.251) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03240999-03 08.04.2024)

16.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.902; N81.02.19.901; N81.02.19.216; N01.81.10.291.007; N81.02.19.217; N81.02.19.215; N81.02.19.071; N81.02.13.575; N81.02.13.701; N81.02.19.003; N81.02.19.070; N81.02.13.789; N81.02.13.790; N81.02.19.004; N81.02.13.955; N81.02.13.954; N81.02.19.635; N81.02.19.634; N01.81.02.294.001-ის ნაწილი) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032411064-03-19.04.2024)
17.	"ქალაქ თბილისში, სოფელ ზემო ლისზე, თელეების მიწაზე; ქალაქ თბილისში, ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.18.859; N72.16.18.919) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N65 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032411063-03 -19.04.2024)
18.	ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ "სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032410988-03-18.04.2024)
19.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N25, N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032411349-03- 22.04.2024)
20.	ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ (ნაკვეთი 09/177) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.176; N01.72.14.009.639; N01.72.14.009.659) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032411612-03-25.04.2024)
21.	ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N65, N69; ჭრელაშვილის ქ. N4-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისი, უჯარმის II შესახვევი, N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.059; N01.17.13.038.009; N01.17.13.038.050) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241169-03 -25.04.2024)
22.	ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.014.180; N01.19.36.014.181) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241168-03- 25.04.2024)

23.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.99.679; N81.02.99.666; N81.02.98.030) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე- დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241167-03-25.04.2024)
24.	“ ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ქოშიგორაზე; ქალაქ თბილისში, უდაბნოს მონასტრის ქუჩა N58, N62, N64, N66; ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ნატბეურში; ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ნატბეურებში; ქალაქ თბილისში, დილომში, ქოშიგორა, ნატბეურებში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.045.608; N01.72.14.045.023; N01.72.14.045.024; N01.72.14.045.019; N01.72.14.045.017; N01.72.14.045.016; N01.72.14.045.015; N01.72.14.045.020; N01.72.14.045.026; N01.72.14.045.359; N01.72.14.045.358; N01.72.14.045.022; N01.72.14.045.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე” (საკრებულოს №12-032411613-03 - 25.04.2024)
25.	ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N41, N41ა; ქალაქი თბილისი, სოფელი წავკისი, ვახტანგ გორგასლის I ჩიხი, N1, N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.18.019; N81.02.18.101; N81.02.18.100; N81.02.21.429; N81.02.18.020; N81.02.18.515) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241165-03-25.04.2024)
26.	“ ქალაქ თბილისში, უზნაძის ქუჩა N70-ში (ნაკვ. 10/21) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.08.010.062; N01.13.08.010.060; N01.13.08.010.061; N01.13.08.010.059; N01.13.08.010.063) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032411611-03- 25.04.2024)
27.	“ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.18.005.038, N01.10.18.005.050, N01.10.18.007.006, N01.10.18.006.228) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ნოემბრის N395 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241161-03-25.04.2024)
28.	“ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.17.001.184, N01.14.17.001.185, N01.10.18.006.134, N01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N304 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241162-03-25.04.2024)

29.	<p>“ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა №42-ში; ქალაქი თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №118; №118ა; №116ბ; №116; №124ა; №116ა; № 124-ში, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.17.11.029.043; №01.17.11.029.035; №01.17.11.029.028; №01.17.11.029.037; №01.17.11.029.030; №01.17.11.029.013; №01.17.11.029.038; №01.17.11.029.046) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის N112 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03241163-03-25.04.2024)</p>
-----	---

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დამტკიცა დღის წესრიგი.

1. ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე (საკრებულოს №03-032411570 - 24.04.2024)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ. კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ 445721782) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N23.1415.1532, 20.09.2023) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (განკარგულება N470, 22.09.2023) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე: მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა-ში (ს/კ N01.10.13.023.001) არსებულ სამშენებლო ობიექტზე არსებული/შეთანხმებული პროექტის ფარგლებში მოხდეს მშენებლობის ნებართვის გაგრძელება, ან საჭიროების შემთხვევაში პროექტის კორექტირება ფართის უცვლელად. ამასთანავე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაანგარიშება მოხდეს შეთანხმებული პროექტის (2010 წლის) ფარგლებში მოქმედი რეგულაციების - „ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების გათვალისწინებით; იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა განხორციელდება არსებული შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, არსებული სამშენებლო პარამეტრების უცვლელად, სამშენებლო პროექტის დასრულებისათვის საჭირო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ- საანგარიშო ფართობის (51,043.52 კვ.მ) ნაწილის - 29,962.35 კვ.მ

- გადატანა მოხდეს კომპანიის მიერ სამომავლოდ წარმოდგენილ ალტერნატიულ მიწის ნაკვეთზე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში მოქმედი შესაბამისი რეგულაციების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების გათვალისწინებით და გადაანგარიშებით, რაც გულისხმობს 29,962.35 კვ.მ. სასარგებლო (საცხოვრებელი და კომერციული) ფართს აივნების გარეშე; მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა-ში (ს/კ N01.10.13.023.001) არსებულ სამშენებლო ობიექტზე მშენებლობის ნებართვის გაცემა (გაგრძელება) მოხდეს არსებულ მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციისა და გამწვანების პროექტის წარმოდგენისა და საკომპენსაციო ღონისძიებების ვალდებულების განხორციელების გარეშე; მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებულ სამშენებლო ობიექტზე, „ბ“ და „გ“ ბლოკებთან მიმართებაში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ან/და კონსტრუქციების არსებობის შემთხვევაში, შპს „რივერ საიდი 2023“-მა (ს/ნ 445721782) მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის და განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნა/დასკვნები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ხორციელდება არსებული ბლოკ(ებ)ის დემონტაჟი და ახალი მშენებლობა; შპს „რივერ საიდი 2023“-მა (ს/ნ 445721782), ალტერნატიულ მიწ(ებ)ის ნაკვეთზე ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადატანილი სამშენებლო მოცულობის მშენებლობის განხორციელებისას, გადატანილი სამშენებლო მოცულობიდან სარეალიზაციო ფართის განკარგვა ან და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) განახორციელოს მხოლოდ მას შემდეგ, როცა უზრუნველყოფს: მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებულ სამშენებლო ობიექტზე, „ბ“ და „გ“ ბლოკების მშენებლობის დასრულებას (არანაკლებ შენობა-ნაგებობის კარკასულ მდგომარეობამდე მიყვანას, რაც თავის მხრივ, გულისხმობს შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დასრულებულ მდგომარეობას. ამასთან, შპს „რივერ საიდი 2023“-ს (ს/ნ 445721782) უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ თეთრ კარკასულ მდგომარეობაში, ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესით; ე.ბ) მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებულ სამშენებლო ობიექტზე, „ა“ ბლოკის კეთილმოწყობას (მათ შორის, ფასადების და სადარბაზოების კეთილმოწყობას); ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, მისამართზე - ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა“-ში (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (მათ შორის, შპს „რივერ საიდი 2023“-ს (ს/ნ 445721782) მიერ წარმოდგენილ ალტერნატიული მიწ(ებ)ის ნაკვეთზე, ამ განკარგულების შესაბამისად სამშენებლო მოცულობების გადატანის შემთხვევაში) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადოს და დაინტერესებულ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრში და ფიქსირდებოდეს შესაბამისი უძრავი ნივთების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი

მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ; მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უზრუნველყოს დანართი N1-ის შესაბამისად განსაზღვრული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაციის (ჯამურად სავარაუდოდ: 1,458,018.40 აშშ დოლარი და 48,400.00 ლარი) მიზნით ამ საკომპენსაციო თანხების გადახდისათვის საჭირო პროცედურების გატარება ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ის შესაბამისად განსაზღვრული პირების მიმართ თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაციის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ: თანხის სახით გასაცემი ვალდებულების კომპენსაცია ამ განკარგულების დანართი N1-ით და მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირების მიმართ მოხდეს (შესაბამისი თანხის დაზარალებულების მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა), მათ შორის, „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ: 204460957), შპს „მარიჯანი (ს/კ 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ: 204531499), შპს „დაკიდებული ბალები“ (ს/კ: 212272869), შპს „დილომი დისტრიქტ ავარტმენტს“ (ს/კ: 204514926), ამხანაგობა „ახალი დილომი“ (ს/კ: 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ: 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიხედვით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფისა“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე მობილიზებული თანხებიდან, გადახდის დღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში; ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, არ გამოიყენება „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხების ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისათვის, მათ შორის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულებით გათვალისწინებული ის თანხა, რომელიც გათვალისწინებულია იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1-ის შესაბამისად განსაზღვრული პირების გარდა, სხვა პირების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შედეგად ამ პირების მიმართ ფულადი სახით გასაცემი ვალდებულებების დადასტურებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ უზრუნველყოს საკომპენსაციო თანხების გადახდისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესის



შესაბამისად. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37ა (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ 405411139) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N362 განკარგულება; „ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა-ში (ს/კ N01.10.13.023.001) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ 405411139) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა-ში (ს/კ N01.10.13.023.001) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N42 განკარგულება. „ქ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა-ში“ (ს/კ: N01.10.13.023.001) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით დაინტერესებული პირების ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „სანაპირო 2005-ის“ და შპს „რივერ საიდი 2023-ის“ (ს/ნ. 445721782) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი განკარგულებების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N126 განკარგულება.

*საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ნინო წულაძემ.*

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

2. მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N 4 (ს/კ: 01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N 55 (ს/კ: 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032411686-03-25.04.2024)

საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ.

კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მისამართებზე: ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ N4 (ს/კ: 01.14.11.024.004) და ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ N55 (ს/კ: 01.14.11.024.012), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით გაატაროს შემდეგი ღონისძიება: გასცეს კომპენსაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N127 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N5-ით გათვალისწინებულ პირთა სიაში დამატებულ პირზე - სალომე ხუნდაძეზე (პ/ნ 01017008403) შემდეგი ოდენობით: 62,000.00 (სამოცდაორი ათასი) აშშ დოლარი. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ნინო წულაძემ.

შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-032411571-03- 24.04.2024)

საკითხი წარმოადგინა ა.ა.ი.პ თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა. მისი თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რაიონში მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით ჩანაცვლებისათვის საჭირო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომელთა მიხედვით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის გარეშე, შეფერხდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის დაგეგმილი სახით განხორციელება. შემოთავაზებული რედაქციით იცვლება წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი რადგან, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროცესში სარეგისტრაციო მონაცემების დამუშავებისას გამოვლინდა შემთხვევები როდესაც ფართი კეთილმოწყობილია, გამოიყენება საცხოვრებლად თუმცა არ არის რეგისტრირებული დაინტერესებული პირის საკუთრებაში, ასეთ შემთხვევაში პროექტის განმახორციელებელს უნდა მიეცეს უფლება დაინტერესებული პირის საკუთრებაში ჩათვალოს ამგვარი ფართი თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი რაიონული გამგეობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციითა და ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. ამასთანავე, დაინტერესებული პირების საკუთრებაში არ იანგარიშება რეგისტრირებული საცხოვრებელი ან/და კომერციული სტატუსის მქონე ფართები, რომელთა ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული ფართის დანიშნულებას. წესის მე-8 მუხლს ასევე ემატება 4 1 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით დაინტერესებული პირის საკუთრებად ისეთი ფართების განხილვას, რომელთა შენობის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კომერციული ან/და საცხოვრებელი დანიშნულებით გამოყენების დადასტურება პროექტის განხორციელების მომენტისათვის შეუძლებელია. ცვლილება შედის წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტშიც. ცვლილებით კომპენსაციის გადახდის შეწყვეტის საფუძვლად დამატებულია დაინტერესებული პირებისთვის განკუთვნილი ფართების სარემონტო სამუშაოების დასრულების ფაქტი, როგორც განცალკევებული გარემოება. ამასთან, ცვლილებას განიცდის მე-11 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები. კერძოდ, თეთრი კარკასის კონდიციით გადასაცემი ფართის მდგომარეობა ზუსტდება საცხოვრებელი ფართისთვისაც, ვინაიდან, დაინტერესებულ პირებს ამავე დადგენილების პროექტით უფლება ეძლევათ უარი განაცხადონ სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე.

პროექტის განხორციელებისას გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც უძრავი ქონების მესაკუთრეები გამოთქვამენ მზაობას საკუთარი რესურსით გაარემონტონ ახალაშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მათთვის გადასაცემი უძრავი ქონება, ამ შემთხვევაში ფონდი თეთრი კარკასის კონდიციით გადასცემს უძრავ ქონებას დაინტერესებულ პირს, რისთვისაც საჭიროა აღნიშნულმა პირმა წერილობითი განცხადებით მიმართოს პროექტის განმახორციელებელს. ამავდროულად, მისთვის კომპენსაციის გაცემა შეწყდება, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, ახალ აშენებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაინტერესებული პირებისთვის გადასაცემ ბინებზე პროექტის განმახორციელებლის დაკვეთით წარმოებული სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, რის შესახებაც წერილობით ეცნობება დაინტერესებულ პირს ან/და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეს. ამასთანავე, მეტად დეტალიზირდა როგორც თეთრის კარკასის, ისე რემონტის მდგომარეობით გადასაცემი ფართების მახასიათებლები. წესის მე-11 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული პირისგან მომდინარე ნებისმიერი ხელშეშლა შესაძლებელია გახდეს პროექტის განმახორციელებლის მხრიდან ამავე პირის სასარგებლოდ შესასრულებელი ნებისმიერი სამუშაოს (მათ შორის, სარემონტო) შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

*საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ნინო წულაძემ.*

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს № 12-032411614-03-25.04.2024)

საკითხი წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ნინო ჯაფარიძემ. მისი თქმით, განკარგულების პროექტის სახით წარმოდგენილია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 06 დეკემბრის №35 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა (შემდგომში - არქიტექტურის სამსახური) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოში სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადასაცემად, საჭიროდ იქნა მიჩნეული რეორგანიზაციის დაწყება. ზემოაღნიშნული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომის ოქმის საფუძველზე, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ

„მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ დაევალოთ საქმისწარმოების ფუნქციების „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადაცემის მიზნით რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ 2023 წლის 15 დეკემბრის N23.1945.2147 განკარგულებით წინადადება წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, არქიტექტურის სამსახურის რეორგანიზაციაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N644 განკარგულებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არქიტექტურის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. არქიტექტურის სამსახურის უფროსის 2024 წლის N860.01240241 ბრძანებით, რეორგანიზაციის გამო, არქიტექტურის სამსახურში დასაქმებულ პირებს ეცნობათ რეორგანიზაციის პროცესიდან გამომდინარე შესაძლო გათავისუფლების შესახებ. მითითებული სტრუქტურული რეორგანიზაციის საფუძვლებიდან გამომდინარე, კერძოდ, სტრუქტურის განახლების და სამსახურის საქმიანობის ოპტიმიზაციის, ასევე, საქმისწარმოების ერთიან სისტემაში მოქცევის მიზნით, საქმისწარმოების ფუნქციების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ გადასაცემად, საჭიროდ იქნა მიჩნეული შესაბამისი ცვლილებების განხორციელება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში. რეორგანიზაციის შედეგად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანახმად, სამსახურს მოაკლდა საქმისწარმოების ფუნქციები და აღნიშნული ფუნქციები გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“. შესაბამისად არქიტექტურის სამსახურში უქმდება საქმისწარმოების განყოფილება. ამასთან, ცვლილების მიხედვით, განისაზღვრება არქივზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ექვემდებარება სამსახურის უფროსის ერთ-ერთ მოადგილეს და საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სტრუქტურულად დაექვემდებარება სამსახურის უფროსს. წინამდებარე პროექტი, ასევე, ითვალისწინებს ცვლილებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა დაევალება იურიდიულ განყოფილებას.

*საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ნინო წულაძემ.*

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

5. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325,

ფართობი - 5 010 კვ.მ; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ; N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032411023-03- 19.04.2024)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა.

კომისიამ იმსჯელა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 8 თებერვლის N0124039939-67 (01240441444-67; 01240921252-67; 01240962990-67; 01240994223-67; 01241033777-67; 0124107648-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი) N01.18.01.004.325, N01.18.01.004.326, N01.18.01.004.322, N01.18.01.004.323, N01.18.01.004.321 და N01.18.01.004.318 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=1.6; კ-2=1.8; კ-2=1.9), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3). საპროექტო საკადასტრო ერთეულებზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 თებერვლის N60 განკარგულებით, დამტკიცებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირები გეგმა. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული სექტორების მიხედვით: N01.18.01.004.321, ფართობი 2 739 - სექტორი I კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე; N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ - II სექტორი - კ2=1.5- დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ, III სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.9-მდე; N01.18.01.004.325, ფართობი 5 010 კვ.მ, IV სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ, V სექტორი - კ2=1.5-დან კ2=1.8-მდე; N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259, VIII სექტორი - კ2=1.4-დან კ2=1.6-მდე, რაც გულისხმობს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე 6 სართულიანი შენობების განთავსებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N0124039939-67 (01240441444-67; 01240921252-67; 01240962990-67; 01240994223-67; 01241033777-67; 0124107648-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნები: 2024 წლის 5 თებერვლის N000660824 დასკვნა, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.321, ფართობი - 2 739 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 2 463 746.00 (ორი მილიონ ოთხას სამოცდასამი ათას შვიდას ორმოცდაექვსი) ლარს. 2024 წლის 5 თებერვლის N000662224 დასკვნა, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული

მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.322, ფართობი - 3 435 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 025 431.00 (სამი მილიონ ოცდახუთი ათას ოთხას ოცდათერთმეტი) ლარს. 2024 წლის 5 თებერვლის N000663624 დასკვნა, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.323, ფართობი - 3 435 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 3 025 431.00 (სამი მილიონ ოცდახუთი ათას ოთხას ოცდათერთმეტი) ლარს. 2024 წლის 5 თებერვლის N000664724 დასკვნა, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.325, ფართობი - 5 010 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 184 629.00 (ოთხი მილიონ ას ოთხმოცდაოთხი ათას ექვსას ოცდაცხრა) ლარს. 2024 წლის 5 თებერვლის N000665924 დასკვნა, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.326, ფართობი - 5 335 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 456 086.00 (ოთხი მილიონ გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი ოთხას ორმოცდათექვსმეტი ათას ოთხმოცდაექვსი ) ლარს. 2024 წლის 5 თებერვლის N000659224 დასკვნა, რომლის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.004.318, ფართობი - 1 259 კვ.მ.) საბაზრო ღირებულება 2024 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 108 884.00 (ერთი მილიონ ას რვა ათას რვაას ოთხმოცდაოთხი) ლარს იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობანაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

*საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა ნინო წულაძემ.*

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას ხმათა უმრავლესობით მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059, ფართობი - 2 572 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032411576-03- 24.04.2024)

საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2024 წლის 12 იანვრის N01240121485-67 (01240743556-67, 01241073981-67, 01241093746-67, 01241131951-67) განცხადებით ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა N12-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.05.001.059) მესაკუთრემ (შემდგომში - დაინტერესებული პირი)

N01.18.05.001.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=5.1), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. N01.18.05.001.059 საკადასტრო ერთეულზე, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივსაქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივსაქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5\* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3\* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ \*მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%-ს; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არქიტექტურის სამსახურის N2318404 (AR1357201) ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=4.6-დან კ-2=5.1-მდე, რაც გულისხმობს შეთანხმებულ მოცულობაზე 1 სართულის დამატებას. ასევე, მოთხოვნილია გადამეტებულ ფართზე პროექტის შეთანხმებისას სიმაღლის ნაწილში არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები. N01240121485-67 (01240743556-67, 01241073981-67, 01241093746-67, 01241131951-67) განცხადებაზე წარმოდგენილია, ასევე, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნა N001286924, რომლის მიხედვითაც, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2024 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 495 289 ლარს. იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის

